შპს „თეთრი კვადრატი“

საიდენტიფიკაციო კოდი

404618767

N48

13 ივნისი 2025 წელი

ბრძანება

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობის მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შპს „თეთრი კვადრატი“-ს წესდების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შპს „თეთრი კვადრატის“ მიერ ჩასატარებელი წამახალისებელი გათამაშების მოწყობის მიზნით დამტკიცდეს წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობები (რეგლამენტი) დანართი 1-ის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შპს „თეთრი კვადრატის“
დირექტორი

შორენა დარჩიაშვილი

დანართი N1
დამტკიცებულია
2025 წლის 13 ივნისის N48 ბრძანებით

წამახალისებელი გათამაშების მოწყობის პირობები
(რეგლამენტი)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1.1 წინამდებარე რეგლამენტი არეგულირებს წამახალისებელი გათამაშების ძირითად პრინციპებს, პროცედურებსა და პირობებს.
1.2 გათამაშების მიზანია მომხმარებელთა მოზიდვა და უძრავი ქონების სამშენებლო ბაზარზე ორგანიზატორის უძრავი ქონების გაყიდვის პოპულარიზაცია.
1.3 გათამაშების მიზეზს წარმოადგენს უძრავი ქონების სამშენებლო ბაზარზე არსებული კონკურენცია.
1.4 გათამაშება ტარდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალედ და სამართლიანად.
1.5 წესებში (რეგლამენტში) ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება:

2.1 **ორგანიზატორი:** „შპს თეთრი კვადრატი" (ს/ნ 404618767); მის. ქ. თბილისი, ქუჩა ტარას შევჩენკო, N1, სადარბაზო 2, სართული 3, ბინა N41) რომელიც რეგისტრირებულია 2021 წლის 16 ივლისს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული დაცვით.

2.2 **გათამაშებაში მონაწილე პირი:** ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც გათამაშების ბილეთების გაცემის თარიღიდან მის დასრულებამდე შეიძენს ბინას, კომერციულ ან/და საოფისე ფართს ორგანიზატორის შვილობილ და მასთან აფილირებული კომპანიების მრავალ ფუნქციური კომპლექსის სამშენებლო პროექტში და გათამაშების ბილეთების გაცემის დასრულებამდე გადაიხდის შეძენილი **უძრავი ქონების** ღირებულების სულ მცირე - 20%-ს.

2.3 **უძრავი ქონება:** ბინა, კომერციულ ან/და საოფისე ფართი.

2.4 **წამახალისებელი გათამაშება:** თამაშობა, რომლის დროსაც ორგანიზატორი საჯაროდ მის ოფიციალურ ვებ. გვერდსა და სოციალური ქსელების გვერდებზე გამოქვეყნებული, წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესისა და პირობების დაცვით ათამაშებს საპრიზო ფონდს. მოგების დამთხვევა რომელიმე ბილეთზე დამოკიდებული არ არის ორგანიზატორის ან სხვა სუბიექტის ნება-სურვილსა და ქმედებაზე, შემთხვევითობაა და არ არის სპეციალურად მოწყობილი. წამახალისებელი გათამაშება ტარდება ორგანიზატორის უძრავი ქონების სწრაფად და ეფექტიანად რეალიზების მიზნით.

2.5 **გამარჯვებული:** 2025 წლის 27 სექტემბერს გასამართ წამახალისებელ გათამაშებაში, რომელიც ჩატარდება ქ. თბილისში, პირველი რესპუბლიკის მოედანი N6-ში მდებარე „რესპუბლიკა"-ს საკონფერენციო სივრცეში. დოლურას დატრიალების შემდგომ,

შემთხვევითობის პრინციპით, დოლურადან ამოღებული გამარჯვებული ბილეთის მფლობელი პირი.

2.6 **წამახალისებელი გათამაშების ბილეთი:** ბილეთი, რომელიც შედგება 2 (ორი) ნაწილისგან, საიდანაც ერთი ნაწილი წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გადაეცემა გათამაშებაში მონაწილე პირს, ხოლო მეორე ნაწილს გათამაშებაში მონაწილე პირი ათავსებს ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N29/22 ან ქ. ქუთაისში, ლ. ასათიანის ქუჩა N96-ში მდებარე „თეთრი კვადრატის" გაყიდვების ოფისებიდან ერთ-ერთში განთავსებულ სპეციალურ ყუთში ან/და წინამდებარე რეგლამენტის 5.10 პუნქტის შესაბამისად, მოთავსდება კონვერტში.

2.7 **პრიზები:** 6 (ექვსი) ცალი 5 000 აშშ დოლარიანი (ეკვივალენტი ლარში - 17 056.25 ლარი (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით) - ღირებულების „თეთრი კვადრატის" ვაუჩერი. 3 (სამი) ცალი 10 000 აშშ დოლარიანი (ეკვივალენტი ლარში - 34 112.5 ლარი (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით) „თეთრი კვადრატის" ვაუჩერი, რომელსაც გათამაშებაში გამარჯვებული პირი გამოიყენებს ორგანიზატორის შვილობილი ან/და მასთან აფილირებული კომპანიების სამშენებლო პროექტებში **უძრავი ქონების** შეძენის მიზნით. ხოლო **მთავარი პრიზია** ბინა დასრულებულ პროექტში „თეთრი კვადრატი შარტავაზე" (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N43, ბინის N186, ფართობი: 70.8 კვ.მ. ს/კ 01.10.13.015.069.01.01.186) (ბინის ღირებულება განისაზღვრება - 307 012.50 - ლარში (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით).

2.8 **საპრიზო ფონდი:** აქვს იგივე მნიშვნელობა რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით. საპრიზო ფონდის ჯამური ღირებულება შეადგენს **511 687.5** (ხუთას თერთმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაშვიდ ლარი და 50 თეთრი) ლარს (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით).

2.9 **დოლურა:** სპეციალური ყუთი, რომელშიც განთავსდება ყველა ბილეთი, საიდანაც გათამაშების დღეს შემთხვევითობის პრინციპით გამოვლინდება გამარჯვებული.

2.10 **ვებ-გვერდი** – ორგანიზატორის ოფიციალური ვებ-გვერდი: https://w2.ge/

2.11 **ოჯახის წევრი** – აღნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელიც დაკავშირებულია გათამაშების ორგანიზატორის თანამშრომელთან ქორწინებით, ნათესაობით პირდაპირ აღმავალ ან დაღმავალ ხაზზე (მშობელი, შვილი, ბებია/ბაბუა, შვილიშვილი), ან და/ძმით, ასევე მეუღლესთან ან სამოქალაქო პარტნიორთან თანაცხოვრებით.

2.13 **ორგანიზატორის შვილობილი და მასთან აფილირებული კომპანიები**: შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე" (ს/ნ 405589395); შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე 2" (ს/ნ 405764230); შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე 3" (ს/ნ 405764150); შპს „თეთრი კვადრატი ჯიქიაზე" (ს/ნ 404618927); სს „ნიუ დეველოპმენტი" (ს/ნ 405375277); შპს „თეთრი კვადრატი ქუთაისი" (ს/ნ 405643497); შპს „ფილიგრინი" (ს/ნ 405498929); შპს „ფილიგრინი 2" (ს/ნ 405581945); შპს „თეთრი კვადრატი ისანი პარკი" (ს/ნ 404592017).

2.14 **სპეციალური კომისია** - წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვისა და კონტროლის მიზნით სამი ადამიანისგან შექმნილი სპეციალური კომისია, რომელიც პასუხისმგებელია რეგლამენტით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვის

კონტროლზე, ასევე პრეტენზიების წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესით განხილვაზე და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაზე.

მუხლი 3. წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორს საქმიანობის სფერო:

3.1 **ორგანიზატორი** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და **ორგანიზატორის** წესდების შესაბამისად ახორციელებს არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღებას.

3.2 **ორგანიზატორის** საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- მრავალ ფუნქციური შენობა-ნაგებობების აშენებას;
- პროექტის დასაფინანსებლად, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთის ფულადი რესურსების ინვესტიციის მოზიდვას;
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციების, ყიდვა-გაყიდვა, გაქირავებს;
- საპროექტო, სარემონტო, სადიზაინერო, სარესტავრაციო, საკომუნიკაციო საქმიანობის წარმოებას.
- და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის განხორციელებას;
-

მუხლი 4. წამახალისებელი გათამაშების ჩატარების დრო და ადგილი

4.1 წამახალისებელი გათამაშების ბილეთების გაცემა დაიწყება 2025 წლის 20 ივნისს და დასრულდება 2025 წლის 20 სექტემბერს.

4.2 გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ 2025 წლის 20 ივნისიდან 2025 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით გაცემული ბილეთები.

4.3 პრიზები გათამაშდება 2025 წლის 27 სექტემბერს. გათამაშების დაწყების ზუსტი დროის შესახებ ინფორმაცია, გათამაშების დაწყებამდე სულ მცირე 1 საათით ადრე განთავსდება ორგანიზატორის ოფიციალურ ვებ. გვერდზე ასევე თითოეულ გათამაშებაში მონაწილე პირს მის მიერ მითითებულ მობილურის ნომერზე გაეგზავნება შესაბამისი SMS შეტყობინება.

4.4 პრიზების გათამაშება ჩატარდება ქ. თბილისში, პირველი რესპუბლიკის მოედანი N6-ში მდებარე „რესპუბლიკა"-ს საკონფერენციო სივრცეში, სადაც მოწვეულ იქნებიან გათამაშებაში მონაწილე პირები. გათამაშებაში მონაწილე პირის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს გათამაშებაში მონაწილე პირს, პრიზის მოგების შემთხვევაში, წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად მიიღოს მოგებული პრიზი. საპრიზო ფონდის გათამაშების პროცესში განხორციელდება ვიდე და აუდიო ჩაწერა, რომელიც შეინახება მინიმუმ 6 თვის განმავლობაში, რათა შესაძლებელი იყოს შესაძლო სადავო შემთხვევების განხილვა.

4.5 სოციალური ქსელების მისამართებია:
https://www.facebook.com/tetri2
https://www.instagram.com/tetri_kvadrati

4.6 პრიზები გათამაშდება შემდეგი თანმიმდევრობით: თავდაპირველად გათამაშდება 6 (ექვსი) ცალი 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარიანი (ეკვივალენტი ლარში -17 056.25 ლარი (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით) „თეთრი

კვადრატის“ ვაუჩერი, შემდეგ 3 (სამი) ცალი 10 000 აშშ დოლარიანი (ეკვივალენტი ლარში - 34 112.5 ლარი) (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით) .„თეთრი კვადრატის“ ვაუჩერი და ბოლოს **მთავარი პრიზი** - ბინა დასრულებულ პროექტში „თეთრი კვადრატი შარტავაზე“ (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N43, ბინის N186, ფართობი: 70.8 კვ.მ. 01.10.13.015.069.01.01.186) (ბინის ღირებულება განისაზღვრება - 307 012.50 - ლართ (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით)

მუხლი 5. წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობისა და გათამაშების ბილეთის გაცემის წესი

5.1 წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც გათამაშების ბილეთების გაცემის თარიღიდან მის დასრულებამდე შეიძენს **უძრავ ქონებას** ორგანიზატორის შვილობილ და მასთან აფილირებული კომპანიების მრავალ ფუნქციური კომპლექსის სამშენებლო პროექტში და გათამაშების ბილეთების გაცემის დასრულებამდე გადაიხდის შეძენილი **უძრავი ქონების** ღირებულების სულ მცირე - 20%-ს.

5.2 წინამდებარე რეგლამენტის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული **უძრავი ქონების** შეძენის ფაქტი დადასტურდება, მყიდველსა და გამყიდველს შორის წინარე ნასყიდობის/ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებით.

5.3 გათამაშებაში მონაწილეობის მსურველ პირებს უძრავი ქონების შეძენა შეუძლიათ შემდეგ სამშენებლო პროექტებში:

ა) „თეთრი კვადრატი მინდელზე“ (მის. ქ. თბილისი, ძოწის ქუჩა N2) –(შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე“; შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე 2“ და შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე 3“

ბ) „თეთრი კვადრატი ჯიქიაზე“ (მის. ქ თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N12) (შპს „თეთრი კვადრატი ჯიქიაზე)

გ) „თეთრი კვადრატი შარტავაზე“ (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N43) (სს „ნიუ დეველოპმენტი“

დ) „თეთრი კვადრატი ისანში“ (მის. ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა N8) (შპს „თეთრი კვადრატი ისანი პარკი“)

ე) „ფილიგრინი“ (მის. ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა N12) (შპს „ფილიგრინი“)

ვ) „ფილიგრინი 2“ (მის. ქ. თბილისი, გიორგი დანელიას ქუჩა N61) (შპს „ფილიგრინი 2“)

ზ) „თეთრი კვადრატი ქუთაისში“ (მის. ლ. ასათიანის ქუჩა N96). (შპს „თეთრი კვადრატი ქუთაისი“)

5.4 გათამაშებაში მონაწილე პირები, შეძენილი უძრავი ქონების ღირებულების ყოველი 1000 (ათასი) აშშ დოლარი ეკვივალენტი ლარის გადახდისას მიიღებენ გათამაშების 1 (ერთი) ბილეთს. გადახდა განხორციელდება მყიდველსა და გამყიდველს შორის გაფორმებული უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის/ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილი წესით, უნაღდო ანგარიშსწორებით, გამყიდველის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

5.5 წამახალისებელი გათამაშების ბილეთების გაცემა დაიწყება 2025 წლის 20 ივნისს და დასრულდება 2025 წლის 20 სექტემბერს.

5.6 წამახალისებელი გათამაშებისთვის დაიბეჭდება გათამაშების 5 000 (ხუთი ათასი) ცალი ბილეთი, ნუმერაციით: 20210001-20215000.

5.7 წამახალისებელი გათამაშების ბილეთი წარმოდგენილი იქნება 2 (ორი) ნაწილისგან, საიდანაც ერთი ნაწილი გადაეცემა წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გადაეცემა გათამაშებაში მონაწილე პირს, ხოლო მეორე ნაწილს გათამაშებაში მონაწილე პირი, გარდა წინამდებარე რეგლამენტის 5.10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, თავად მოათავსებს „თეთრი კვადრატის" გაყიდვების ოფისებში (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N29/22 ან ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის ქუჩა N96) განთავსებულ სპეციალურ ყუთებში. ბილეთის ორივე ნაწილზე დატანილი იქნება ბილეთის ნომერი, წამახალისებელი გათამაშების ნებართვის ნომერი და შტრიხკოდი (როგორც გაყალბებისგან დამცავი ნიშანი) ხოლო იმ ნაწილზე, რომელიც თავსდება სპეციალურ ყუთში, დამატებით დატანილი იქნება გათამაშებაში მონაწილე პირის სახელი/გვარი, პირადი ნომერი და მობილურის ნომერი. ბილეთის იმ ნაწილზე, რომელიც გადაეცემა მომხმარებელს, გარდა ბილეთის ნომრის, ნებართვის ნომრისა და შტრიხკოდისა, დამატებით დატანილი იქნება ბილეთების გაცემის ვადა და პრიზების გათამაშების ადგილი, საპრიზო ფონდის გათამაშების თარიღი, ორგანიზატორის სახელწოდება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, წამახალისებელი გათამაშების ზოგადი წესი.

5.8 „თეთრი კვადრატის" გაყიდვების ოფისებიდან (ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N29/22 და ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის ქ. N96) განხორციელდება ბილეთების გაცემა. ორგანიზატორის წარმომადგენელი იმ პირების თანდასწრებით, რომლებიც აკმაყოფილებენ წამახალისებელი გათამაშების პირობებს, ბილეთის შესაბამის გრაფაში ჩაწერს გათამაშებაში მონაწილე პირის სახელს, გვარს, პირად ნომერს და მობილურის ნომერს, ამის შემდგომ, ბილეთს მოაშორებს მცირე ზომის მხარეს, რომელზეც დატანილი იქნება გათამაშებაში მონაწილე პირი, პირადი მონაცემები და გათამაშებაში მონაწილე პირი, გარდა წინამდებარე რეგლამენტის 5.10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, თავად მოათავსებს მას „თეთრი კვადრატის" გაყიდვების ოფისში განთავსებულ სპეციალურ ყუთში, ხოლო ბილეთის მეორე ნაწილი გადაეცემა გათამაშებაში მონაწილე პირს.

5.9 გათამაშების ბილეთები გაიცემა იმ შემთხვევაში, თუკი გათამაშებაში მონაწილეობის მსურველი პირი ორგანიზატორს წარუდგენს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ (წერილობით, ელექტრონულად ან ინტერნეტ ბანკის მეშვეობით) და დამოწმებულ საგადახდო დავალებას, რომელიც უტყუარად დაადასტურებს ანგარიშსწორების განხორციელებას. ამასთან, სწრაფი გადახდის აპარატით ანგარიშსწორებისას, გათამაშების ბილეთები გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გათამაშებაში მონაწილეობის მსურველი პირი კომპანიას წარუდგენს სწრაფი გადახდის აპარატის მიერ გაცემულ ქვითარს, რომელიც უტყუარად დაადასტურებს ანგარიშსწორების განხორციელებას.

5.10 იმ შემთხვევაში, თუ გათამაშებაში მონაწილეობის მსურველ პირთან **უძრავი ქონების** შეძენის მიზნით, დისტანციურად გაფორმებულია უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის/ნასყიდობის ხელშეკრულება, ამასთან, გადაიხდის უძრავი ქონების ღირებულების სულ მცირე 20%-ს და ვერ შეძლებს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უშუალოდ „თეთრი კვადრატის" გაყიდვების ოფისში წარდგენას, თუმცა ამგვარ დოკუმენტს ორგანიზატორის მიაწვდის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, **სპეციალური კომისიის** ზედამხედველობით, ორგანიზატორის წარმომადგენელი თავად უზრუნველყოფს შესაბამისი ოდენობის ბილეთების გათამაშებაში მონაწილეობის მსურველი პირის სახელით მოთავსებას. ხოლო გათამაშებაში მონაწილე პირისთვის გადასაცემი ბილეთის მეორე ნაწილი ცალკე დაილუქება შესაბამის კონვერტში და მათი რაოდენობა განისაზღვრება სპეციალური

კომისიის მიერ შედგენილ შესაბამის ოქმში, რომელიც დადასტურდება კომისიის ყველა წევრის ხელმოწერით. ყოველგვარი დავისა და ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, ამ პუნქტით გათვალისწინებული გათამაშებაში მონაწილეობის მსურველი პირი თავისუფლდება მოგების შემთხვევაში გათამაშების ბილეთის ორგანიზატორისთვის წარდგენის ვალდებულებისგან.

5.11 წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ: **შპს „თეთრ კვადრატში“** და მასთან დაკავშირებულ კომპანიებში **შპს „ბკ ჰოლდინგში“** (ს/ნ 404614869) **შპს „ბკ ქონსთრაქშენში“** (ს/ნ 404537809) და **ა(ა)იპ „სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ 2“** -ში (ს/ნ 430035874) შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ პირებს და მათ **ოჯახის წევრებს** იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე მიზეზის გამო, ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე პირი გახდება მოგებახვედრილი იღბლიანი ბილეთის მფლობელი, მასზე მოგება არ გაიცემა.

5.12 იმ შემთხვევაში, თუ გათამაშებაში მონაწილე პირი, წამახალისებელი გათამაშების ბილეთების გაცემიდან საპრიზო ფონდის გათამაშებამდე შეძენილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი მიზეზით, შეწყვეტს ორგანიზატორის შვილობილ ან/და მასთან აფილირებულ პირთან გაფორმებულ უძრავი ქონების წინარე ნასყიდობის/ნასყიდობის ხელშეკრულებას, ავტომატურად კარგავს წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის უფლებას და მისი ბილეთები ამოირიცხება შესაბამის დოლურაში მოთავსებული გასათამაშებელი ბილეთებიდან.

მუხლი 6. წამახალისებელი გათამაშების პროცედურა

6.1 წინამდებარე რეგლამენტის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული წამახალისებელი გათამაშების პერიოდში გაცემული იმ ბილეთების, რომლებიც მოთავსებული იქნება ქ. ქუთაისში, ლ. ასათიანის ქუჩა N96-ში, „თეთრი კვადრატის“ გაყიდვების ოფისში განთავსებულ სპეციალურ ყუთში, დაილუქება და საპრიზო ფონდის გათამაშების თარიღამდე მისი ტრანსპორტირება განხორციელდება ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N29/22-ში მდებარე „თეთრი კვადრატის“ გაყიდვების ოფისში, სადაც ბილეთები ერთად მოთავსდება დოლურაში. დოლურის ტრანსპორტირება მოხდება ქ. თბილისში, პირველი რესპუბლიკის მოედანი N6-ში მდებარე „რესპუბლიკა“-ს საკონფერენციო სივრცეში, სადაც 2025 წლის 27 სექტემბერს განხორციელდება პრიზების გათამაშება.

6.2 დოლურაში ბილეთების მოთავსება უნდა განხორციელდეს სპეციალური კომისიის წევრების თანდასწრებით, რომლებიც უნდა დაადასტურონ ოქმით, რომ ყველა ბილეთი სრულად და სწორად არის მოთავსებული.

6.3 2025 წლის 27 სექტემბერს გასამართ წამახალისებელ გათამაშებაში გამარჯვებული პირი გამოვლინდება შემდეგნაირად: წამახალისებელი გათამაშების წამყვან(ებ)ი, დოლურას დატრიალების შემდგომ, შემთხვევითობის პრინციპით, დოლურადან ამოიღებს გათამაშების ერთ ბილეთს და გამოაცხადებს ბილეთის ნომერსა და გათამაშებაში მონაწილე პირის სახელს და გვარს. იმ შემთხვევაში, თუ გათამაშებაში მონაწილე პირი უშუალოდ არ ესწრება პრიზის გათამაშებას, გათამაშების დასრულების შემდეგ, მის მიერ ბილეთზე მითითებულ მობილურის ნომერზე **577949911** მობილურის ნომრიდან გაეგზავნება SMS შეტყობინება, რომლითაც ეცნობება მოგებული პრიზის შესახებ და განემარტება წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად, პრიზის მიღების წესები. წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული პრიზის მიღების წესების დარღვევის შემთხვევაში, გათამაშებაში მონაწილე პირი ვერ მიიღებს

გათამაშებულ პრიზს. ყოველგვარი დავისა და ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, გამარჯვებულად ჩაითვლება ის პირი, რომლის პირადი მონაცემებიც მითითებულია გათამაშების ბილეთზე. ორგანიზატორი არ აგებს პასუხს შეტყობინების მიუღებლობაზე, თუ იგი გამოიწვია მონაწილე პირის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან ტექნიკური პრობლემებით.

6.4 2025 წლის 27 სექტემბერს გასათამაშებელი პრიზების, კერძოდ, „თეთრი კვადრატის" ვაუჩერების გაცემა განხორციელდება გათამაშებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, მომგებიანი ბილეთის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო **მთავარი პრიზის** - გათამაშებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, მომგებიანი ბილეთის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) კალენდარული დღის ვადაში, გამარჯვებულ პირს გადაეცემა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ამ ბინის მესაკუთრედ რეგისტრაციის გზით, რა დროსაც მოგებულ ბინაზე დარეგისტრირდება გამარჯვებული პირის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. საჯარო რეესტრში გამარჯვებული პირის საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებზე პასუხისმგებელია ორგანიზატორი.

6.5 წინამდებარე რეგლამენტის 5.10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულ პირი პრიზის მისაღებად თავად ვერ შეძლებს წინამდებარე რეგლამენტის 6.4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გამოცხადებას, პრიზი შეიძლება გადაეცეს მის უფლებამოსილ წარმომადგენელს, შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის/მინდობილობის ორგანიზატორისთვის 6.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით წარდგენის საფუძველზე, რომლის შინაარსი და ხელმოწერა სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული/დადასტურებული.

6.6 წამახალისებელი გათამაშების ორგანიზატორი უზრუნველყოფს გათამაშების წესებისა და გამოვლენილი გამარჯვებულის ვინაობის (სახელის დ გვარის მითითებით) საჯაროობას: ვებ-გვერდზე: https://w2.ge/, წამახალისებელი გათამაშების მოგებათა ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდება გათამაშებიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 7. მოგების გაცემისა და პრეტენზიების განხილვის წესი

7.1 მოგების გაცემის ვადა განისაზღვრება პრიზების გათამაშებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით, ხოლო წამახალისებელ გათამაშებაში გამარჯვებულებისათვის, პრიზის გადაცემა განხორციელდება დოლურადან ამოღებულ ბილეთზე მითითებული პირის მოგების გაცემის ადგილზე გამოცხადების, მომგებიანი (გამარჯვებული) ბილეთის, პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის/ბინადრობის მოწმობის/ოფიციალური პასპორტის წარმოდგენისა და მისი იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) კალენდარული დღეში. გამარჯვებული მონაწილის მიერ წარმოდგენილ ბილეთსა და დოლურადან ამოღებულ ბილეთზე დატანილი რომელიმე მაიდენტიფიცირებელი რეკვიზიტ(ებ)ის შეუსაბამობის ან ამავე პუნქტში მითითებული 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდგომ გამარჯვებული პირისა და მომგებიანი (გამარჯვებული) ბილეთის წარმოდგენის შემთხვევაში მოგება არ გაიცემა, თუ წინამდებარე რეგლამენტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.2 გამარჯვებულად მიჩნეული პირი ვალდებულია წარმოადგინოს შეუზღუდავი და ვიზუალურად დაუზიანებელი ბილეთი, რომელიც იდენტიფიცირება მოხდება ბილეთის ნომრით, შტრიხკოდით და პირადი მონაცემებით. ბილეთის დაკარგვის, მისი ნომრის/შტრიხკოდის ან ჰოლოგრამის დაზიანების შემთხვევაში ორგანიზატორი იტოვებს უფლებას არ გასცეს მოგება, თუ წინამდებარე რეგლამენტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

7.3. გათამაშებაში გამარჯვებულ პირს აქვს უფლება გამოიყენოს მოგებული ვაუჩერი მხოლოდ ერთხელ, სრული ოდენობით, ორგანიზატორის შვილობილი ან მასთან აფილირებული კომპანიის სამშენებლო პროექტებში უძრავი ქონების შესაძენად. ვაუჩერის გამოყენება შესაძლებელია გამარჯვებულისთვის მისი გადაცემიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 დეკემბრის 18:00 საათამდე. ვაუჩერის გაცემა/გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებულის სახელზე და არ ექვემდებარება გადაცემას სხვა პირისთვის.

7.4. პრიზის გადაცემისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი გადაცემის ყველა გარემოება.

7.5 წამახალისებელ გათამაშებასთან დაკავშირებული პრეტენზი(ებ)ის მიღება განხორციელდება პრიზების გათამაშებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ყოველი სამუშაო დღის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N29/22 („თეთრი კვადრატის" გაყიდვების ოფისი). ამ პუნქტში მითითებული 5 (ხუთი) დღიანი ვადის გასვლის შემდგომ წარმოდგენილი პრეტენზიები არ განიხილება.

7.6 თითოეული პრეტენზია განიხილება მისი წერილობითი ფორმით მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, წამახალისებელი გათამაშების დროს შექმნილი **სპეციალური კომისიის** მიერ. პრეტენზიის ავტორს შესაბამისი გადაწყვეტილება გაეგზავნება მის მიერ პრეტენზიის შესახებ განცხადებაში მითითებულ მისამართზე ან ელექტრონულ ფოსტაზე.

7.7 თითოეული პრეტენზია წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს პრეტენზიის ავტორი, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზია არ განიხილება.

7.8 სპეციალური კომისიის წევრები თვალყურს ადევნებენ გათამაშების მიმდინარეობასა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცესს, ასევე განიხილავენ მონაწილეთა მიერ წარდგენილ პრეტენზიებს წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესების შესაბამისად.

7.9 გათამაშებაში მონაწილე პირსა და ორგანიზატორს შორის გათამაშებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეუთანხმებლობა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარეებს შორის წარმოშობილ დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.